საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69232195**
თარიღი:**07/08/2023**

არაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.01.31.1987) 50 წლის ვადით სსიპ ხარაგაულის N2 საჯარო სკოლისთვის უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 21 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე -5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N36.01.31.1987) 50 წლის ვადით უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცეს სსიპ ხარაგაულის N2 საჯარო სკოლას.**

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

გამოყენებულია კვალიფიციური